განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნორა სკაბურსკიენე, ვილნიუსის გედიმინასის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიეტუვა

წევრები:

მიტრა ამინი (თანათავმჯდომარე), შირაზის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ირანი

თამარ გოდერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

თამრიკო ვალიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

გიორგი მხეიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

თბილისი

2025

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის (EWUNI) შექმნის იდეა დაიბადა 2004-2005 წლებში, როგორც საგანმანათლებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონულ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის უნივერსიტეტებს შორის. უნივერსიტეტი ოფიციალურად დაარსდა 2019 წელს და მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის სამედიცინო განათლების უზრუნველყოფას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის, ასევე საქართველოს სამედიცინო განათლების მოდერნიზებას ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრირების გზით. უნივერსიტეტის მისიაა სტუდენტებისთვის სამეცნიერო ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული განათლების მიწოდება, კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ზრდა და ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა.

ამჟამად EWUNI სთავაზობს ერთსაფეხურიან, ინგლისურენოვან დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო (MD) პროგრამას, რომელიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და აერთიანებს თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკულ მომზადებას თანამედროვე ლაბორატორიებსა და კლინიკებში. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სამედიცინო დაწესებულებებთან, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ რეალური კლინიკური გამოცდილება. EWUNI ამაყობს, რომ შექმნა მრავალფეროვანი და გლობალური საზოგადოება, რომლის შემადგენლობაშიც შედის დაახლოებით 300 სტუდენტი (მათგან 98% საერთაშორისო სტუდენტია) და 40-ზე მეტი აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნას და უზრუნველყოფს თანამედროვე ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს ლაბორატორიებს, სიმულაციის ცენტრს, აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას და კომპიუტერულ ლაბორატორიებს. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებსა და ელექტრონულ რესურსებზე, რაც ხელს უწყობს კვლევისა და ინოვაციების განვითარებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცეები, ასევე დასასვენებელი ზონები, რომლებიც ხელს უწყობს პოზიტიური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული აკადემიური გარემოს შექმნას. სასწავლო სივრცეები ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

EWUNI-ის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 4.3 მილიონ ლარს, საიდანაც 117,500 ლარი გამოყოფილია კვლევითი საქმიანობისთვის.

ბოლო ავტორიზაციიდან მოყოლებული, EWUNI-მ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს და განიცადა საგრძნობი ზრდა — განხორციელდა სამედიცინო პროგრამა, გაიზარდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, აღიჭურვა ახალი სივრცეები და დამონტაჟდა თანამედროვე სასწავლო ინფრასტრუქტურა.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ზოგადი ინფორმაცია შეფასების შესახებ

საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" გათვალისწინებულია, რომ ყველა

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ექვს წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს ავტორიზაციის პროცესი, რათა დადასტურდეს შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემის უფლება.

ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომლის წევრებს ორწლიანი ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით.

ავტორიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის განვითარებას და უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა საქმიანობა, მათ შორის რესურსები, რეგულაციები, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები, მიღწეული შედეგები და მიზნების მიღწევის რეალისტურობა (შესაბამისი დაგეგმილი ნაბიჯები, მათი განხორციელების მექანიზმები და გამოყოფილი რესურსები).

შეფასების პროცესი

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის შეფასება განხორციელდა 2025 წელს ავტორიზაციის პროცესის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“, დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით და შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის ავტორიზაციისთვის შეფასების საბჭო დაინიშნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

თვითშეფასების ანგარიში

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტმა 2024 წელს შექმნა შიდა სამუშაო ჯგუფი თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად. სამუშაო ჯგუფს დაევალა უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება ავტორიზაციის მოთხოვნებისა და ინსტიტუციური განვითარების მიზნების გათვალისწინებით. პროცესში აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის ბევრი თანამშრომელი. თვითშეფასების ანგარიშში ნათლად არის ჩამოთვლილი სამუშაო ჯგუფის პასუხისმგებლობები.

თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში უნივერსიტეტმა ჩაატარა შიდა შეხვედრები, რომელთა მიზანი იყო ინსტიტუციური განვითარების საკითხების განხილვა. ამ შეხვედრებისას მიღებული მოსაზრებები, ასევე სტუდენტთა გამოკითხვის და ფოკუს ჯგუფების შედეგები გათვალისწინებული იქნა დაწესებულების საქმიანობის შეფასებისას.

მოგვიანებით, დასრულებული ანგარიში გადაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (EQE).

ავტორიზაციის საბჭო თვლის, რომ დოკუმენტი იყო ინფორმაციული და ყოვლისმომცველი. თუმცა, შედარებით მოკლედ იყო წარმოდგენილი თვითკრიტიკული ანალიზი. გარდა ამისა, საბჭომ მოითხოვა წარედგინათ დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდა უნივერსიტეტის საქმიანობის განხორციელებას. ვიზიტის ბოლოს საბჭოს მიეწოდა მოთხოვნილი დოკუმენტები.

ადგილზე ვიზიტი;

2025 წლის 12-14 მაისს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა განეხორცილებინა ვიზიტი აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტში. ჯგუფის თითოეულმა ექსპერტმა, საკუთარი

კომპეტენციის შესაბამისად შეარჩია 1 ან 2 სტანდარტი და გამოავლინა მზაობა, შეესრულებინა წამყვანი როლი ამ სტანდარტების შესწავლაში. თითოეულ წევრს თხოვეს, განეხილა ყველა სტანდარტი და შესაბამისი დამხმარე დოკუმენტაცია და მოემზადებინა შეკითხვები ვიზიტის ყველა ასპექტის შესახებ.

წინასწარ შეთანხმდა ადგილზე ვიზიტის განრიგი, რომლის მიხედვითაც გაიმართა შეხვედრები შესაბამისი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან: მენეჯმენტთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა დაუსვა კითხვები უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. ვიზიტის დასასრულს, აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტს მიწოდა არაფორმალური უკუკავშირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1.

- რეკომენდებულია უნივერსიტეტის მისიის ჯანდაცვის სექტორში მის მიმდინარე საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანა.
- რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს სტანდარტიზებული პროცედურა დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის უნივერსიტეტის მისიის გადახედვისა და ფორმულირების პროცესში.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი გარე დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო სპექტრის სისტემატური ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი პერსპექტივების გათვალისწინებას და სტრატეგიულ მიზნებთან უკეთეს შესაბამისობას.

სტანდარტი 2.

- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი უკეთ იყოს წარმოდგენილი და აქტიურად იყოს ჩართული აკადემიური საბჭოს საქმიანობაში, რაც უფრო გაამყარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.
- რეკომენდებულია, აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და მისი შესაძლო ცვლილებები მკაფიოდ განისაზღვროს დოკუმენტებში.
- რეკომენდებულია, აკადემიური საბჭო უფრო აქტიურად ჩაერთოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, როგორც ეს განსაზღვრულია მისი ფუნქციებით.
- რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს და აისახოს დოკუმენტებში უმაღლესი ადმინისტრაციული პოზიციების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები.
- რეკომენდებულია, ხარისხის შეფასების შედეგები აისახოს ადმინისტრაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.
- რეკომენდებულია, პერსონალის (როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული) შეფასება გახდეს მიღებული პრაქტიკა და გაიზიაროს უნივერსიტეტის საზოგადოებამ.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა აკადემიური წარმატების მონიტორინგის შედეგები გამოყენებული იქნეს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

- რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნეს თანამშრომელთა რაოდენობა, სულ მცირე, როგორც დოკუმენტებში აღნიშნული ვალდებულება, რომელიც შეესაბამება ნებისმიერ სხვა შიდა ან გარე დოკუმენტს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ აკადემიურ საზოგადოებას სწორად ესმის აკადემიური თავისუფლების კონცეფცია.

სტანდარტი 3.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს შეფასების სრულყოფილი სისტემა, რომელიც თითოეულ კომპეტენციას შესაბამისი შეფასების მეთოდით შეაფასებს.

სტანდარტი 4.

- რეკომენდებულია, აკადემიური პოტენციალის გაძლიერებისა და საერთაშორისო ხილვადობის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტმა გააფართოვოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ამისათვის აუცილებელი აფილირების კრიტერიუმების დახვეწა, რათა მოიზიდოს მაღალი დონის პროფესიონალები.
- რეკომენდებულია, კიდევ უფრო განვითარდეს აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა და უზრუნველყოთ მისი თანმიმდევრული განხორციელება არსებული რეგულაციების საფუძველზე. ეს შეიძლება ეტაპობრივად განხორციელდეს, თუ სწავლების, კვლევისა და მომსახურების სფეროში ინტეგრირდება ხარისხობრივი მაჩვენებლები, კოლეგიალური უკუკავშირი და გაზომვადი შედეგები, რაც ხელს შეუწყობს უფრო ყოვლისმომცველი და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების პროცესის ჩამოყალიბებას.

სტანდარტი 5.

- რეკომენდებულია, შეიქმნას სისტემური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესახებ სტატისტიკური და ემპირიული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს.

სტანდარტი 6.

- უნივერსიტეტის კვლევის შეფასებისა და სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია შეიქმნას კვლევის შედეგების მონიტორინგის ცენტრალიზებული მექანიზმი, რომელიც მოიცავს ძირითად ინდიკატორებს, როგორიცაა პუბლიკაციების რაოდენობა და ტიპი, დასრულებული და მიმდინარე კვლევითი პროექტები, სტუდენტების მონაწილეობა კვლევაში და გავრცელების აქტივობები. ამ სისტემის რეგულარულ ანგარიშგებაში ინტეგრირება გაზრდის გამჭვირვალობას, შესაძლებელს გახდის გარე გადამოწმებას და მხარს დაუჭერს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.
- რეკომენდებულია, აქტიურად წამოიწყოთ და განახორციელოთ საერთაშორისო თანამშრომლობითი კვლევითი პროექტები — ნაცვლად მხოლოდ ფურცელზე ხელმოწერილი შეთანხმებებისა, განავითაროთ რეალური თანამშრომლობა კვლევისა და თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების სახით, ასევე მიიღოთ მონაწილეობა კონკურენტულ საგრანტო პროგრამებში (მაგალითად, Horizon Europe, Erasmus+ KA2 ან სხვა ორმხრივი დაფინანსების სქემები).
- რეკომენდებულია, ხელი შეუწყოთ მაღალი ხარისხის, რეცენზირებული პუბლიკაციების გამოქვეყნებას. ამისათვის საჭიროა აკადემიური წერის მხარდამჭერი შიდა სისტემების ჩამოყალიბება, პუბლიკაციის გამოქვეყნების სტრატეგიაში ხელმძღვანელობა, ასევე ინსტიტუციური წახალისების მექანიზმების ისე დახვეწა, რომ ისინი შეესაბამებოდეს სამეცნიერო შედეგების გაზომვად მაჩვენებლებს.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა კვლევით საქმიანობაში ჩართულობისა და ხილვადობის სტრუქტურირება. ამისათვის საჭიროა სტუდენტური კვლევითი კონფერენციებისა და კვლევითი

ფორუმების შექმნა, სტუდენტებისთვის პუბლიკაციის გამოქვეყნების შესაძლებლობების მიცემა, ასევე სტუდენტთა კვლევის შედეგების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და აკადემიურ პრეზენტაციებში.

- რეკომენდებულია, ნათელი პროცედურის შესაბამისად, რეგულარულად გამოქვეყნდეს კვლევითი საქმიანობის ანგარიშები, რომლებიც შეაჯამებს სამეცნიერო პროექტების შედეგებს, კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობას და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიღწევებს.
- რეკომენდებულია, კვლევის შეფასების შედეგები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან სხვა ოფიციალურ პლატფორმებზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ფართო დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.
- რეკომენდებულია ყოველწლიურად შეჯამდეს კვლევითი საქმიანობა, რომლებიც გამოყენებული იქნება როგორც შიდა შეფასებისთვის, ასევე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის დეპარტამენტებსა და პროგრამებს შორის პროგრესის შედარების მიზნით.

სტანდარტი 7.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების წვდომა კვლევით და სასწავლო ლაბორატორიებზე, რაც ხელს შეუწყობს კვლევის განვითარებას.
- რეკომენდებულია, სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა გაზარდოს ხელმისაწვდომი სამედიცინო მონაცემთა ბაზების რაოდენობა და მრავალფეროვნება, მათ შორის კლინიკური მეცნიერების, მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის, ფარმაკოლოგიისა და ბიომედიცინის ინოვაციების სპეციალიზებული პლატფორმები. ამგვარი გაფართოება უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტ შესაბამისობას და გააუმჯობესებს სტუდენტებისა და ფაკულტეტის შესაძლებლობებს ჩაერთონ მაღალი ხარისხის კვლევით საქმიანობაში.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შემოსავლების წყაროების გამრავალფეროვნება ახალი აკადემიური პროგრამებისა და უწყვეტი განათლების კურსების შექმნისა და შეთავაზების გზით.
- რეკომენდებულია მომდევნო წლებში გაიზარდოს კვლევისთვის გამოყოფილი დაფინანსება, რათა უკეთ მოხდეს უნივერსიტეტის კვლევითი მიზნების მხარდაჭერა და განვითარება.

რჩევები

სტანდარტი 1.

- მნიშვნელოვანია მომავალში აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტმა მისიის განაცხადში მკაფიოდ გამოკვეთოს ის უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც ამ უნივერსიტეტს სხვებისგან გამოარჩევს. რეკომენდებულია მისიის ტექსტში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად აისახოს უნივერსიტეტის ისეთი გამორჩეული მახასიათებლების, როგორიცაა სტრატეგიული პარტნიორობა, ჯანდაცვასა და სამედიცინო განათლებაზე აქცენტი და საერთაშორისო თანამშრომლობები.
- სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა ინსტიტუციური თვითშეფასების პროცესში.

სტანდარტი 2.

- სასურველია, განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გამოიყენოთ როგორც მათი, ასევე დამსაქმებლების უკუკავშირი.
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პლაგიატის საკითხს და უკეთ გააცნონ სტუდენტებს მისი თავიდან აცილების მნიშვნელობა.

სტანდარტი 3.

- სასურველია სტუდენტებისთვის პროგრამების ფარგლებში მეტი არჩევითი საგანი გახდეს ხელმისაწვდომი.

სტანდარტი 4.

-

სტანდარტი 5.

-

სტანდარტი 6.

- სასურველია ონლაინ, საჯარო კვლევითი პორტალის შემუშავება, სადაც აისახება ფაკულტეტისა და სტუდენტების კვლევითი შედეგები, შიდა გრანტები, საერთაშორისო პროექტები და თანამშრომლობის შესაძლებლობები.
- სასურველია წახალისდეს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციების ბაზების (მაგალითად: Scopus, Web of Science, Google Scholar) გამოყენება, რათა შემოწმდეს ინსტიტუციური ციტირების მაჩვენებლები და გაუმჯობესდეს კვლევითი საქმიანობის ხილვადობა.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნით, სტრუქტურულ ერთეულებს ევალებათ, წარადგინონ სამოქმედო გეგმები, რომლებიც შემუშავებულია გამოკითხვებით გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე, და შემდგომ აკონტროლებს მათი შესრულების პროცესს.
- სიმულაციური ცენტრი სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს შესანიშნავ სასწავლო სივრცეს, სადაც გარემო მაქსიმალურად მიახლოებულია საავადმყოფოს პირობებთან და აღჭურვილია ახალი და გამართულად მოქმედი აპარატურით, რაც ამჟამინდელი სტუდენტების რაოდენობისთვის საკმარისზე მეტია.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	**უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐

2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნორა სკაბურსკინე (თავმჯდომარე)
2. მიტრა ამინი (თანათავმჯ M. Amini
3. თამარ გოდერიძე (წევრი)
4. თამრიკო ვალიშვილი (წევრ
5. ქეთევან კანკავა (წევრი)
6. გიორგი მხეიძე (წევრი – სტუდენტი)

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის მისია მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებს და განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში. დაწესებულების მისიაა "უზრუნველყოს ღრმა სამეცნიერო ცოდნაზე და მყარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების ცოდნის, უნარების, ღირებულებების და ხედვების გაფართოებას. *უნივერსიტეტი ისწრაფვის შექმნას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი საუნივერსიტეტო გარემო, ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, მიაღწიოს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზრებზე და წვლილი შეიტანოს ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში."* მისია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე მის ხედვასა და ღირებულებებთან ერთად: https://ewuni.edu.ge/en/about-university/mission-vision/ თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტი განმარტავს, რომ მისია განახლდა 2024 წელს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ და უნივერსიტეტის საერთაშორისო ალიანსთან ახალი პარტნიორობის გათვალისწინებით. თუ წინა მისია ძირითადად ჯანდაცვაზე იყო ორიენტირებული, განახლებული ვერსია აფართოვებს უნივერსიტეტის ხედვას და მოიცავს მრავალდარგობრივ მიდგომას. მისიის საბოლოო ვერსია დამტკიცდა უნივერსიტეტის დამფუძნებლების მიერ.

გასაუბრების დროს, კომისიამ დაადგინა, რომ როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეები ზოგადად იცნობდნენ უნივერსიტეტის მისიას. თუმცა, ნათლად არ გამოიკვეთა, რამდენად აქტიურად იყვნენ დაინტერესებული მხარეები ჩართული მისიის ფორმულირებასა და შემუშავებაში. თვითშეფასების ანგარიშში არ იყო წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულება, რა წვლილი შეიტანეს დაინტერესებულმა მხარეებმა ამჟამინდელი მისიის განაცხადის ფორმირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია სტანდარტიზებული პროცედურის ჩამოყალიბება, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას მისიის შემუშავების პროცესში, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება სამართლიანად რჩება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. ამ პროცესის განხორციელება უზრუნველყოფს სხვადასხვა შეხედულების გათვალისწინებას, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის საზოგადოების მხრიდან უფრო ძლიერ ჩართულობასა და თანამონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ მისიას ფართო მხარდაჭრა აქვს უნივერსიტეტში,

მათ ასევე აღნიშნეს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი სამედიცინო პროფილისაა და ამ ეტაპზე მხოლოდ მედიცინის პროგრამას ახორციელებს, არსებული მისია ზედმეტად ზოგადია და არ ასახავს კონკრეტულად სამედიცინო განათლების ძირითად მიმართულებასა და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების მიხედვით, სამედიცინო უნივერსიტეტების მისია ხაზს უნდა უსვამდეს სამედიცინო განათლების როლს ჯანდაცვის გაუმჯობესებაში როგორც სახელმწიფოსთვის, ისე საზოგადოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ განახლებულ მისიაში მულტიდისციპლინური მიდგომების ინტეგრირება დადებითი ნაბიჯია, ის ჯერ კიდევ არ ასახავს უნივერსიტეტის არსებით როლს ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლების სფეროში. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა იმსჯელოს მისიის დახვეწაზე და მკაფიოდ გამოკვეთოს ჯანმრთელობის პროგრამებისა და სამედიცინო განათლების მნიშვნელობა მისიის განაცხადში, რათა იგი უფრო მჭიდროდ შეესაბამებოდეს როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე დაწესებულების ძირითად იდენტობას.

გარდა ამისა, ამჟამინდელი მისია სრულად არ ასახავს უნივერსიტეტის გამორჩეულ მახასიათებლებს — განსაკუთრებით მის ახალ სტრატეგიულ პარტნიორობას არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ASU) და Cintana Education-თან, რომელიც 2025 წლის დასაწყისში ოფიციალური შეთანხმებით გაფორმდა. ეს ალიანსი პოტენციურად გარდამტეხი ეტაპია უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ამ პარტნიორობის ასახვა მისიის განცხადში უფრო მჭიდროდ დააკავშირებს მისიას უნივერსიტეტის რეალურ სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და გაამყარებს მისი გლობალურ და ინოვაციურ პროფილს.

უნივერსიტეტი 2025–2032 წლების სტრატეგიული გეგმის ფარგლებში ისახავს მიზნად თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც შეესაბამება მაღალი საერთაშორისო სტანდარტებს, პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და პოზიციონირებს როგორც სტუდენტზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუცია. ASU-სა და Cintana-სთან პარტნიორობის გაფორმება წარმოადგენს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ყველა მიმართულებით აძლიერებს მის საერთაშორისო ჩართულობას და უნდა იყოს მკაფიოდ ასახული მისიის განაცხადში. ამ ასპექტის გამოკვეთა მისიის განაცხადში უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებასა და საერთაშორისო მისწრაფებებს — რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას შემდგომ განხილვებში და უზრუნველყოფს, რომ მისია სრულად ასახავდეს

უნივერსიტეტის განვითარებად პროფილსა და ჯანმრთელობის მიმართულების პროგრამების მნიშვნელობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● უნივერსიტეტის მისია ● უნივერსიტეტის წესდება ● სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032; ● თვითშეფასების ანგარიში ● დაწესებულების ვებ გვერდი ● გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია უნივერსიტეტის მისიის ჯანდაცვის სექტორში მის მიმდინარე საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ● რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს სტანდარტიზებული პროცედურა დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის უნივერსიტეტის მისიის გადახედვისა და ფორმულირების პროცესში.
რჩევები: ● მნიშვნელოვანია მომავალში აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტმა მისიის განაცხადში მკაფიოდ გამოკვეთოს ის უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც ამ უნივერსიტეტს სხვებისგან გამოარჩევს. რეკომენდებულია მისიის ტექსტში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად აისახოს უნივერსიტეტის ისეთი გამორჩეული მახასიათებლების, როგორიცაა სტრატეგიული პარტნიორობა, ჯანდაცვასა და სამედიცინო განათლებაზე აქცენტი და საერთაშორისო თანამშრომლობები.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) და სამოქმედო (სამწლიანი) გეგმები. ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საანგარიშო პერიოდში აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სტრატეგიული დოკუმენტების—მისიის, სტრატეგიული და წლიური გეგმების—შემუშავებას, რაც ხელს უწყობს ინსტიტუციის შემდგომ განვითარებას. ამჟამად უნივერსიტეტი მოქმედებს 2025–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმისა და 2025–2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში (დანართები №26 და №27).

მიმდინარე დაგეგმვის დოკუმენტები აჩვენებს სტრატეგიული მიზნების მკაფიო ხედვას და დაგეგმვის ეფექტურობას. სტრატეგიულ დოკუმენტში ჩანს, რომ უნივერსიტეტს კარგად ესმის თანამედროვე გამოწვევები და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ჩამოყალიბებას სტუდენტზე ორიენტირებულ, მაღალი ხარისხის დაწესებულებად.

უფრო ყოვლისმომცველი პროცესისთვის, დაწესებულებამ შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის მექანიზმები (დანართი №21), რომელიც ითვალისწინებს პროცესის ძირითად ეტაპებს:

1) SWOT ანალიზის ჩატარება;
2) პრიორიტეტების განსაზღვრა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე;
3) ყოველი სტრატეგიული პრიორიტეტისათვის გაზომვადი მიზნების და ინიციატივების შემუშავება.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს ფაკულტეტის წარმომადგენლები, პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და გარე პარტნიორები. გასაუბრებაზე აშკარა გახდა, რომ შიდა დაინტერესებული მხარეები (მენეჯმენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები) ჩართულნი იყვნენ პროცესში, მაშინ როდესაც გარე დაინტერესებულმა მხარეებმა ვერ დაადასტურეს თავიანთი მონაწილეობა ან უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების სიღრმისეული ცოდნა.

ორივე, სტარტეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ და ასახავს დაწესებულების განვითარების მიმართულებებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა მოიცავს 6 სტრატეგიულ პრიორიტეტს:

1) აკადემიური ხარისხის უმაღლესი სტანდარტი;
2) სტუდენტთა წარმატება;
3) საზოგადოებრივი ჩართულობა;
4) მდგრადობა და განვითარება;
5) მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა;
6) მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა.

თითოეულ სტრატეგიულ პრიორიტეტს აქვს 2-3 ინდიკატორი, რაც შესაძლებელს ხდის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას თვითშეფასების ანგარიშში

(თშა) ნათლად არის აღწერილი დაგეგმვის პროცესი და ჩამოთვლილია მონიტორინგის მექანიზმები (თშა, გვ. 13-14).

უნივერსიტეტი იყენებს მონიტორინგის მკაცრ მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეფექტური განხორციელება. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს გზამკვლევს უნივერსიტეტის განვითარების პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის, ხოლო სტრატეგიული მიზნები მოქმედებს როგორც ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI-ები), თითოეული ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად. თითეული სტრუქტურული ერთეულის გეგმები და ანგარიშები ემსახურება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნების მიღწევას და შეესაბამება ძირითადი შესრულების ინდიკატორებს თავიანთი წლიური გეგმების მეშვეობით. თითოეული ერთეული ამზადებს და წარადგენს წლიურ პროგრესის ანგარიშებს, რომლებიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის შედეგებს, გამოვლენილ გამოწვევებსა და დაგეგმილ გაუმჯობესებებს ამ ანგარიშების საფუძველზე მზადდება კონსოლიდირებული წლიური ანგარიში, რომელსაც საფუძვლიანად განიხილავს და სწავლობს უნივერსიტეტის მენეჯმენტი.

უნივერსიტეტის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა და წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში ნათლად ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემატურად არის ჩართული უწყვეტი შეფასების პროცესში და მიღებული შედეგები გამოიყენება სამომავლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა ეს მიდგომა, ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა რეგულარული შეფასების პრაქტიკა და შეფასების შედეგების გამოყენება საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. სტრატეგიული გეგმა ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

EWUNI-ის ძირითად მიზნებში შედის ქვეყნის სოციალურ განვითარებაში წვლილის შეტანა, საზოგადოებისთვის ცოდნის გაზიარება და ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა და რაც ასევე ასახულია მის მისიაში. SWOT ანალიზის მიხედვით, უნივერსიტეტმა დაადგინა საჭიროება, გააფართოვოს პარტნიორობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა გააუმჯობესოს სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობები და პრაქტიკული სწავლებების შესაძლებლობები. ამ საჭიროებაზე ასევე ხაზგასმით ისაუბრეს უნივერსიტეტის მენეჯმენტთან გასაუბრების დროს. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2025–2032 წლებისთვის განსაზღვრავს რვა სტრატეგიულ მიზანს სტრატეგიული პრიორიტეტი 6-ის ფარგლებში – „უწყვეტი განათლება“ (7-წლიანი სტრატეგიული გეგმა, გვ. 11–13), რომლებიც პირდაპირ უკავშირდება უნივერსიტეტის წვლილს საზოგადოებაში.

უნივერსიტეტი აქტიურად ეძებს ახალ პარტნიორებს; მაგალითად, 2022–2024 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს ორ კონკრეტულ ამოცანას, რომლებიც მიზნად ისახავს პარტნიორობის გაფართოებას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, რისთვისაც განსაზღვრულია დაახლოებით 90,000 ლარის ფინანსური რესურსი. ბოლო ორი წლის განმავლობაში ინიცირებული და დამტკიცებულია ორი ახალი პარტნიორობა ASU-Cintana ალიანსთან, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს გაზარდოს საგანმანათლებლო და მოკლევადიანი პროგრამების დიაპაზონი. მენეჯმენტმა და დაინტერესებულმა მხარეებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჯანდაცვის უწყვეტი განათლების პროგრამებს (ამჟამად ფუნქციონირებს 45 კურსი), მხარს უჭერს სხვადასხვა ინიციატივებს (მაგალითად, საავადმყოფოში მოწყვლადი ჯგუფების კონსულტაციები, კონფერენცია ჯანსაღი ცხოვრების წესზე). ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის მესამე მისია – მისი წვლილი საზოგადოებაში – კარგადაა ინტეგრირებული და დაწესებულების მიერ თანაბრად მნიშვნელოვნად არის შეფასებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები ● 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა 2025-2032 წწ. ● 3-წლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2027 წწ.). ● ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ - აკრედიტაციის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად ● თვითშეფასების ანგარიში ● გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს ● დაწესებულების ვებ გვერდი
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი გარე დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო სპექტრის სისტემატური ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი პერსპექტივების გათვალისწინებას და სტრატეგიულ მიზნებთან უკეთეს შესაბამისობას.
რჩევები: ● სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა ინსტიტუციური თვითშეფასების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას.

- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოადგენს იერარქიულ მოდელს, რომლის სათავეშიც დგას ზედამხედველობის საბჭო და პრეზიდენტი ერთი ვიცე-პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს, ხოლო დანარჩენი ორი - ჯანმრთელობის მეცნიერებების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების სფეროებს. საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს და აკონტროლებს აკადემიური საბჭო. იგივე სტრუქტურული ერთეული განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის პოლიტიკას. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: დეკანები, თითო ფაკულტეტიდან/სკოლიდან ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, ერთი სტუდენტი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, როგორიცაა ვიცე-პრეზიდენტები. გამოთქმა „როგორიცაა“ მიანიშნებს იმაზე, რომ შემადგენლობა ფიქსირებული არ არის; თუმცა გაურკვეველია, რა პირობებში შეიძლება იგი შეიცვალოს. გარდა ამისა, იმ ფაქტმა, რომ აკადემიურ საბჭოში იქნებიან თითოეული სკოლიდან აკადემიური პერსონალის მხოლოდ 2 წარმომადგენელი, მაშინ როდესაც საბჭოს დანარჩენი წევრები უმაღლესი ადმინისტრაციული პოზიციების მქონე პირები არიან, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ აკადემიური პერსპექტივა ნაკლებად აისახოს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებში და ვერ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სათანადო ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სასურველია, აკადემიური საბჭოში იყოს აკადემიური პერსონალის უფრო მეტი წარმომადგენლი.

სინამდვილეში, გასაუბრების მიხედვით გამოიკვეთა, რომ საუნივერსიტეტო პროცესებში ყველა დონეზე მონაწილეობენ როგორც აკადემიური, ასევე კიდევ უფრო მეტი მოწვეული პერსონალი, თუმცა ეს მონაწილეობა ძირითადად ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის წარმომადგენლებთან არაფორმალური კომუნიკაციის გზით ხორციელდება. გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, აკადემიური საბჭო თავისი მიმდინარე შემადგენლობით ნაკლებად იყო ჩართული წარსულ გადაწყვეტილებებში; საბჭოს წევრთა უმეტესობა ახალია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ზოგი მათგანი სხვადასხვა მმართველ პოზიციაზე მუშაობს, აკადემიური საბჭოს წევრობის გარეშეც იქნებოდნენ ჩართული მართვაში. აკადემიური საბჭოს ერთ-ერთ მოვალეობას წარმოადგენს საგანმანათლებლო ხარისხის შეფასება; თუმცა, ამ ეტაპზე არ იკვეთება კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ამ ფუნქციის შესრულებას დაადასტურებს. აკადემიური საბჭოს სტუდენტი წევრიც ახლახან შეუერთდა გუნდს და ჯერ კიდევ ორიენტაციის ეტაპზე იმყოფება.

ვიცე-პრეზიდენტებს ნიშნავს პრეზიდენტი. არ არსებობს განაცხადების მიღების და შერჩევის ოფიციალური პროცედურა; ამ დროისთვის ყველაფერი ნომინაციის საფუძველზე ხდება. არც წესდებაშია აღწერილი რაიმე პროცედურა. დეკანებს ასევე ნიშნავს პრეზიდენტი, მოწოდებულ დოკუმენტებში შერჩევის პროცედურები დოკუმენტირებული არ არის. გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პრორექტორების და დეკანების შერჩევის მკაფიო წესები და დოკუმენტირებული პროცედურები, რაც უზრუნველყოფს მართვის თანამდებობებზე დანიშვნის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

სხვა ადმინისტრაციულ პოზიციებზე შერჩევა ხდება იმ კანდიდატებიდან, რომლებიც კონკურსის გამოცხადების შემდეგ შეიტანენ განცხადებას ცნობილ პლატფორმებზე. თითეულ პოზიციაზე მიღებული განცხადებების რაოდენობა ზოგიერთ შემთხვევაში 50-60-ს აღწევს.

ადმინისტრაციული სამსახურების ერთეულები და პასუხისმგებლობები ძალიან ზუსტად და დეტალურად არის გაწერილი როგორც წესდებაში, ისე თითოეული ერთეულის შესაბამის დოკუმენტებში. მოვალეობები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შერწყმული. პოლიტიკა, ისევე როგორც თითოეული სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობა, უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და მიზნების სათანადო

შესრულებას. თანამშრომლები, რომლებთანაც ექსპერტებს ჰქონდათ შეხვედრის შესაძლებლობა, არიან კვალიფიცირებულნი და აქტიურად ჩართულნი როგორც საკუთარი სტრუქტურების საქმიანობაში, ასევე უნივერსიტეტის მასშტაბით მიმდინარე ამოცანებში. აღნიშნული სტრუქტურები კოორდინირებულად მუშაობენ და უზრუნველყოფენ ეფექტურ სამუშაო პროცესს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ისევე როგორც მათი განხორციელება, მიმდინარეობს შეუფერხებლად და ეფექტიანად, რაც საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ელექტრონული სისტემები დანერგილია როგორც ადმინისტრაციული, ასევე საგანმანათლებლო პროცესების მართვის მრავალ დონეზე. ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში დეტალურადაა აღწერილი შესაძლო რისკები და დაგეგმილი რეაგირების ღონისძიებები. გეგმა ასევე გვაწვდის ინფორმაციას მონიტორინგისა და გაუმჯობესების მეთოდების შესახებ.

უნივერსიტეტს აქვს კარგად განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც შესაძლოა უახლოეს პერიოდში განახლდეს Cintana Education-ისა და Arizona State University-სთან თანამშრომლობის გათვალისწინებით. თავად დოკუმენტი (ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა) აღწერს საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებას. უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეფასდა ხარისხის ზომებთან ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, EWUNI-ს ჰყავს არაერთი საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაცია. უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალისა და სტუდენტების მობილობას, სტუდენტური მობილობის მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის ამოქმედებული. რამდენიმე თანამშრომელი ბოლო პეროდში იმყოფებოდა პარტნიორ უნივერსიტეტში გამოცდილების გაზიარების მიზნით. სტუდენტებისა და თანამშრომლების საერთაშორისო მობილობის წესები და შერჩევის კრიტერიუმები აღწერილია ცალკე დოკუმენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის წესდება
- ადამიანური რესურსების მართვისა და დოკუმენტაციის მართვის პოლიტიკა
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- დოკუმენტაციის მართვის წესები
- მედიცინის სკოლის წესდება
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა
- საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან ხელმოწერილი შეთანხმებები
- საერთაშორისო მობილობის გზამლვლევი
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს
- დაწესებულების ვებ გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი უკეთ იყოს წარმოდგენილი და აქტიურად იყოს ჩართული აკადემიური საბჭოს საქმიანობაში, რაც უფრო გაამყარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.
- რეკომენდებულია, აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და მისი შესაძლო ცვლილებები მკაფიოდ განისაზღვროს დოკუმენტებში.
- რეკომენდებულია, აკადემიური საბჭო უფრო აქტიურად ჩაერთოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, როგორც ეს განსაზღვრულია მისი ფუნქციებით.

- რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს და აისახოს დოკუმენტებში უმაღლესი ადმინისტრაციული პოზიციების შერჩევის კრიტერიუმები და პროცედურები.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ყოვლისმომცველად არის შემუშავებული და დიდი ყურადღება ექცევა. ამ პროცესში წამყვან როლს ასრულებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. შიდა ხარისხის პროცესებში ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობა ხორციელდება მათი პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების შესაბამისად, რაც პროცესს თანამშრომლობით ხდის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მუშაობს ორი თანამშრომელი, რომლებსაც სფეროში მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელი ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ყოველდღიური საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის გამოკითხვების შემუშავებას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, ასევე პოლიტიკის შემუშავებასა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შემოწმებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებთან. ხარისხის კულტურის განვითარებაზე ზრუნვა ინსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის მიერ, და ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. მაგალითად, სტუდენტური უკუკავშირის შეგროვებისა და ანალიზის პროცესი გახდა უფრო მრავალფეროვანი და დეცენტრალიზებული - ბიბლიოთეკის რესურსების შესახებ უკუკავშირი ამჟამად თავად ბიბლიოთეკაში გროვდება და ხდება მისი გაანალიზება ბიბლიოთეკარების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის შედეგები და მათზე რეაგირების მიზნით დაგეგმილი ქმედებები მიეწოდებათ სტუდენტებს, რაც მათში აჩენს ნდობას, რომ მათი მოსაზრებები რეალურად არის გათვალისწინებული.

ამჟამად მიმდინარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და პროცედურები აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში. აღსანიშნავია, რომ თითოეული გამოკითხვის შედეგები დეტალურად განიხილება და მზადდება როგორც რაოდენობრივი შეჯამება, ასევე ხარისხობრივი შეფასება და რეკომენდაციები. გამოკითხვის მონაცემების ანალიზის დოკუმენტში ყოველთვის არისშემოთავაზებული აქტივობები, რომელიც შეჯამებულია პასუხისმგებელი ერთეულის სამოქმედო გეგმაში და შემდგომ რეგულარულად მიმდინარეობს მათი მონიტორინგი.

ეს მოდელი შედარებით ახალი დაგეგმილია, რადგან არსებული გუნდი უნივერსიტეტს მხოლოდ დაახლოებით 6 თვის წინ შეუერთდა. შეზღუდული დროის მიუხედავად, შესრულებული სამუშაოს მასშტაბი შთამბეჭდავია როგორც უკუკავშირის შეგროვებისა და ანალიზის, ასევე პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით.

ამ მოკლე პერიოდში ხარისხის შეფასების შედეგები დიდად არ ასახულა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებში, თუმცა მათ გავლენა მოახდინეს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო პროცესებზე. მაგ., ზოგიერთი ამოცანა, რომელიც სამედიცინო სკოლის პასუხისმგებლობაში შედიოდა, უკვე შესრულებულია 2025 წლის იანვრის სტუდენტურმა გამოკითხვამ გამოავლინა სილაბუსების სტრუქტურაში არსებული ხარვეზი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციაში აღნიშნულია: „რეკომენდებულია ისეთი სტრუქტურირებული სილაბუსის შექმნა და დანერგვა, რომელიც დეტალურად ასახავს განახლებულ ინფორმაციას და თითოეული ლექციისთვის კონკრეტულად მიუთითებს განსახილველ თემებს, სახელმძღვანელოს თავებსა და გვერდის ნომრებს. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს, მარტივად დააკავშირონ PowerPoint-ლექციების მასალა სახელმძღვანელოს შინაარსთან და ეფექტურად მოემზადონ გამოცდებისთვის.“ ეს რეკომენდაცია უკვე შესრულებულია.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სისტემა ინსტიტუციური პოლიტიკით რეგულირდება და დეტალურად არის აღწერილი დოკუმენტებში. თუმცა, არ არსებობს ფაქტობრივი მტკიცებულება იმისა, რომ სისტემა ამჟამად ფუნქციონირებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ამ ტიპის შეფასებებს სჭირდება გარკვეული გაზომვადი შედეგები, რაც არარეალურს ხდის იმ თანამშრომლის საქმიანობის შეფასებას, რომელიც მხოლოდ რამდენიმე თვეა მუშაობს. ასევე არ ხდება იმ თანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალის შეფასება, რომლებიც უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში არიან დასაქმებული. აკადემიური პერსონალი არც საკუთარი შეფასების წესებს იცნობს და არც თვითშეფასებას ატარებს.

სტუდენტების აკადემიური მიღწევების მონიტორინგი ხორციელდება მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც, არსებული ინფორმაციით, ხორციელდება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ. აღსანიშნავია, რომ ამჟამად არ არსებობს არცერთი მაგალითი, როდესაც სწავლების პროცესში მოხდა ცვლილებები სტუდენტთა აკადემიური შედეგების ანალიზის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ამ დრომდე ძირითადად ეფუძნებოდა გარე შეფასებების რეკომენდაციებსა და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი აქტიურად არის ჩართული განახორციელოს გარე შემფასებლების რეკომენდაციები. ვიზიტის დროს ასევე აღინიშნა საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც აკადემიური პერსონალის ინიციატივით არის განხორციელებული. კერძოდ, აკადემიური პერსონალის ინიციატივით სილაბუსებში შეიცვალა საკონტაქტო საათები და მოდიფიცირდა შეფასების მეთოდები. დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის, ასევე ადმინისტრაციული სერვისების გაუმჯობესებისთვის.

ცალკე დოკუმენტად არის წარმოდგენილი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მათემატიკური გამოთვლების პროცესი. გათვალისწინებულია სასწავლო სივრცეები, ლაბორატორიული სივრცეები, საერთო სარგებლობის სივრცეები და კლინიკური სწავლების შესაძლებლობები. თუმცა, არ არსებობს მონაცემები პერსონალის რაოდენობის შესახებ (როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული), რომლებიც გათვალისწინებელია სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის დროს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას ისინი ეყრდნობიან დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობა იგეგმება სტუდენტური კონტინგენტის მიხედვით და არა პირიქით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დამსაქმებლების მიერ
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლოს პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდების შეფასება განმახორციელებელი პერსონალის მიერ
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური როტაციის შეფასება სტუდენტების მიერ
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტების მიერ
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდების შეფასება სტუდენტების მიერ
- უნივერსიტეტის სერვისებისა და რესურსების შეფასება განმახორციელებელი პერსონალის მიერ
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შეფასება სტუდენტების მიერ
- სასწავლო პროცესის შეფასება სტუდენტების მიერ
- ჩარიცხვის პროცესის შეფასება სტუდენტების მიერ
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეფასება სტუდენტების მიერ
- სტუდენტური სერვისებით სტუდენტთა დაკმაყოფილების შეფასება
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სტუდენტთა ჩარიცხვის ოფისის სამოქმედო გეგმა
- პროგრამის სამოქმედო გეგმა
- დაწესებულების ვებ გვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის შეფასების შედეგები აისახოს ადმინისტრაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.
- რეკომენდებულია, პერსონალის (როგორც აკადემიურის, ასევე ადმინისტრაციულის) შეფასება გახდეს მიღებული პრაქტიკა და გაიზიაროს უნივერსიტეტის საზოგადოებამ.
- რეკომენდებულია, სტუდენტთა აკადემიური წარმატების მონიტორინგის შედეგები გამოყენებული იქნას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

- რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნეს თანამშრომელთა რაოდენობა, სულ მცირე, როგორც დოკუმენტებში აღნიშნული ვალდებულება, რომელიც შეესაბამება ნებისმიერ სხვა შიდა ან გარე დოკუმენტებს.

რჩევები:

- სასურველია, განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გამოიყენოთ როგორც მათი, ასევე დამსაქმებლების უკუკავშირი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნით, სტრუქტურულ ერთეულებს ევალებათ, წარადგინონ სამოქმედო გეგმები, რომლებიც შემუშავებულია გამოკითხვებით გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე, და შემდგომ აკონტროლებს დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ეთიკის კოდექსი არის დოკუმენტი, რომელიც კარგად არის ცნობილი უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ეცნობიან მას და ასევე იციან, როგორ მოიძიონ იგი ვებგვერდზე. აკადემიურმა პერსონალმა იცის, რა ზომები უნდა მიიღოს ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, თუმცა მსგავსი შემთხვევები არასდროს დაფიქსირებულა.

ეთიკის კოდექსში განხილულია პლაგიატი და მისი გამოვლენის შემთხვევაში გატარებული ღონისძიებები. ამჟამად პლაგიატის მონიტორინგს დიდი ყურადღება არ ექცევა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს პროგრამული უზრუნველყოფა აკადემიური ნაშრომების შესამოწმებლად, თუმცა სტუდენტები არ იცნობენ ამ პროგრამას. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან, რომ პროგრამა არსებობს, თუმცა იგი არასდროს გამოუყენებიათ. სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ამ პროგრამის შესახებ.

ამავე დოკუმენტში განხილულია აკადემიური თავისუფლება და მისი კავშირი შიდა რეგულაციებთან. ინტერვიუებზე მიღებული პასუხები აჩვენებს, რომ პერსონალისა და სტუდენტების უმეტესობას არ აქვს ნათელი წარმოდგენა რას ნიშნავს აკადემიური თავისუფლება, თუმცა ეს, როგორც ჩანს, უფრო ტერმინოლოგიის საკითხია. საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, ინდივიდუალური აკადემიური ავტონომიის დონე მაღალია და ამასთან, დადებითად ფასდება აკადემიური ინიციატივები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის წესდება
- ეთიკის კოდექსი
- დაწესებულების ვებ გვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ აკადემიურ საზოგადოებას სწორად ესმოდეს აკადემიური თავისუფლების კონცეფცია.

რჩევები:

- სასურველია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პლაგიატის საკითხს და უკეთ გააცნონ სტუდენტებს მისი თავიდან აცილების მნიშვნელობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ში მოქმედებს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარების, განხორციელებისა და გაუქმების პროცესების შესახებ. უნივერსიტეტს დანერგილი აქვს ყოვლისმომცველი მეთოდოლოგია, რომელიც არეგულირებს პროგრამის მართვის ყველა ეტაპს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, აკრედიტაციის სტანდარტებთან და ინსტიტუციის სტრატეგიულ ხედვასთან.

ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ დოკუმენტებში აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განახლების პროცედურები და შესაბამისი პროცესი დადასტურდა დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

უნივერსიტეტის მიდგომა რეგულირდება შიდა დოკუმენტით – „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და შეწყვეტის წესი“ (დანართი №8), რომელიც

შემუშავებულია საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობას და აკადემიური ხარისხის შენარჩუნებას პროგრამებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე: შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნებთან; ადგილობრივი კულტურული, სოციალური და ეკონომიკური კონტექსტების გათვალისწინება; შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან; სტუდენტზე ორიენტირებული, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლის მოდელების გამოყენება; ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაცია; გლობალური კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო შესაძლებლობებისა და სტანდარტების მეშვეობით.

EWUNI-ში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ტრადიციულად კოლაბორაციული პროცესია. პროცესი აერთიანებს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის: აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს – რომლებიც მონაწილეობენ სასწავლო გეგმის შემუშავებაში, სწავლების მეთოდებსა და რესურსების უზრუნველყოფაში; სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს – რომელთა უკუკავშირი და ჩართულობა ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაუმჯობესებას; დამსაქმებლებსა და პროფესიულ ასოციაციებს – რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოლოდინებს; საერთაშორისო პარტნიორებსა და გარე ექსპერტებს – რომლებიც მნიშვნელოვან ხედვას გვაწვდიან გლობალური სტანდარტებისა და პრაქტიკის შესახებ. პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან, დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა პროგრამის განვითარების თანამშრომლობითი ხასიათი და ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ამ განხილვებმა ნათლად წარმოაჩინა ინკლუზიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა და დაადასტურა ინსტიტუციური პასუხისმგებლობა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ პროგრამის შემუშავებისა და განხილვის პროცესში.

თუ საგანმანათლებლო პროგრამის შეწყვეტა გახდება აუცილებელი — აკრედიტაციის გაუქმების, ნულოვანი ჩარიცხვების ან სხვა დასაბუთებული მიზეზების გამო — უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას დაზარალებული სტუდენტების მხარდაჭერაზე. ეს მოიცავს კონსულტაციის შეთავაზებას, სხვა სასწავლო დაწესებულებებში გადაყვანის ხელშეწყობას ურთიერთგაგების მემორანდუმების საფუძველზე, ან – შესაძლებლობის შემთხვევაში – სტუდენტების გადაყვანას უნივერსიტეტის შიგნით არსებულ მსგავს პროგრამებზე.

EWUNI იღებს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების ყველა ეტაპზე. პროგრამის შემუშავებისა და განხილვის მიზნით სისტემატურად გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: შრომის ბაზრის ანალიზი (2023 წლის კვლევა), რომელიც ასახავს დასაქმების ტენდენციებს, უნარებზე მოთხოვნას და ინდუსტრიის ახალ საჭიროებებს; კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები აგროვებს უკუკავშირს პროგრამის ეფექტიანობისა და შესაბამისობის შესახებ; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მათ შორის ქულების განაწილება და მოსალოდნელი შედეგებიდან გადახრები, საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს შეაფასოს, მიიღწევა თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები. ეს კომპონენტები ადასტურებს, რომ პროგრამების დაგეგმვის, განვითარების და გადახედვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები ემყარება ემპირიულ მტკიცებულებებსა და მიმდინარე ტენდენციებს. გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განხილვის პროცესში. ასეთი ცვლილებების მაგალითს წარმოადგენს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის დანერგვა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაში. აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები ჩართულნი არიან პროგრამების შემუშავებისა და გადახედვის პროცესში. გამოკითხვების შედეგად

მიღებული მონაცემების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელებმა შეცვალეს სასწავლო გეგმა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის გაძლიერების მიზნით.

პროგრამის განვითარების ციკლი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პროგრამის ინიცირება სკოლის საბჭოში შრომის ბაზრისა და მიზანშეწონილობის ანალიზის საფუძველზე; პროგრამის შემუშავება სპეციალურად დანიშნული გუნდის მიერ, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები; პროგრამის განხილვა სკოლის საბჭოსა და შიდა/გარე ექსპერტების მიერ; სამართლებრივ და დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა ხარისხის სამსახურის მიერ; აკადემიურ საბჭოზე დამტკიცება; თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის პაკეტის მომზადება თვითშეფასების ჯგუფის მიერ. არსებულ პროგრამებში ცვლილებების გატარება ექვემდებარება ანალოგიურ პროცესებს და ხორციელდება მხოლოდ საფუძვლიანი ანალიზისა და დასაბუთების შემდეგ. პროგრამების ყოველწლიური განახლებები და რეგულარული კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან უზრუნველყოფს, რომ პროგრამები შეესაბამებოდეს სფეროს უახლეს ტენდენციებსა და გლობალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს.

პროგრამის განვითარების კომიტეტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის თანამშრომლობით, პროგრამის ხელმძღვანელმა საფუძვლიანად განიხილა წინა შეფასებითი ანგარიშებიდან მიღებული რეკომენდაციები და გამოიყენა ისინი გაუმჯობესების საფუძვლად. ამ ყოვლისმომცველი მიმოხილვის საფუძველზე, გუნდმა შეიმუშავა და დანერგა მიზნობრივი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტრუქტურის, შინაარსისა და მიწოდების გაუმჯობესებას. ამ ინიციატივამ უზრუნველყო, რომ პროგრამა კვლავ შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, დარგობრივ მახასიათებლებსა და სამედიცინო განათლების განვითარებად საუკეთესო პრაქტიკებს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების და გაუმჯობესების პროცესები ძლიერი და დინამიური ხასიათისაა. მეთოდოლოგია მკაფიოდ არის განსაზღვრული, თანამშრომლობაზეა დაფუძნებული და ექვემდებარება რეგულარულად გადახედვას მტკიცებულებებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. ინსტიტუცია ეფექტურად ინარჩუნებს ბალანსს სტრატეგიულ ხედვასა და აკადემიური მთლიანობისა და სტუდენტთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას შორის, რაც იძლევა სტანდარტის სრული შესაბამისობის გარანტიას.

ამჟამად უნივერსიტეტს არ ჰყავს კურსდამთავრებულები, რომლებმაც სრული პროგრამა EWUNI-ში დაასრულეს. თუმცა, რამდენიმე სტუდენტი ჩაირიცხა მაღალ კურსზე და სწავლობდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა რამდენიმე კურსდამთავრებულს, რომლებმაც თქვეს, რომ ამჟამად ემზადებიან საკუთარ ქვეყნებში ლიცენზირების გამოცდისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- მედიცინის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი
- აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და შეწყვეტის წესი ახალი სტრატეგიული გეგმა
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების შედეგების ანალიზი: გაუსის ნორმალური განაწილებიდან გადახრების შეფასება (2023-2024 წწ.);

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების შედეგების ანალიზი: გაუსის ნორმალური განაწილებიდან გადახრების შეფასება (2024-2025 წწ.);
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- შრომის ბაზრის ანალიზი -2023
- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, მათი შედეგების ანალიზი;
- სილაბუსები & კურიკულუმი
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ეროვნული კანონმდებლობისა და სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ხარიახიან განათლებას. პროგრამა შემუშავებულია იმ კომპეტენციების საფუძველზე, რომლებიც მედიცინის კურსდამთავრებულმა უნდა შეიძინოს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ადგილობრივ და საერთაშორისო მოლოდინებს. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, როგორიცაა პროგრამის დასახელება, კვალიფიკაცია, სწავლების ენა, ხანგრძლივობა, მიზნები, ჩარიცხვის მოთხოვნები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, დასაქმებისა და შემდგომი სწავლის შესაძლებლობები, ასევე პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია. პროგრამა ეფუძნება საქართველოს საგანმანათლებლო კანონმდებლობას, უნივერსიტეტის სტრატეგიასა და

გლობალურ ტენდენციებს მედიცინის განათლების სფეროში, ხოლო ამავე დროს ითვალისწინებს ადგილობრივი საზოგადოების ჯანმრთელობის საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ეს არის 360-კრედიტიანი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც ინტეგრირებულად ისწავლება საბაზისო მეცნიერებები, კლინიკური კომპონენტები და პრაქტიკული უნარები. ეს ეხმარება სტუდენტებს დაუკავშირონ თეორიული კონცეფციები რეალურ კლინიკურ პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის ჩამოყალიბებას.

აკადემიური წელი შედგება 40 კვირისაგან, რომელიც ორ სემესტრად იყოფა. წელიწადში სტუდენტმა უნდა აითვისოს 60 კრედიტი. ერთი ECTS კრედიტი უდრის სტუდენტის 30 საათიან სამუშაო დატვირთვას. პროგრამა მოიცავს 290 ECTS კრედიტს სავალდებულო კურსებისთვის, 30-ს არჩევითი საგნებისთვის, 12-ს კვლევითი უნარებისთვის, 14-ს კლინიკური უნარებისთვის და 14 კრედიტს ქართული ენის შესწავლისთვის – რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტებთან.

სასწავლო გეგმა აგებულია სპირალურ მოდელზე, რაც ნიშნავს, რომ თემები დროთა განმავლობაში ხელახლა განიხილება და ღრმავდება პროგრამის სტრუქტურა ხაზს უსვამს ადამიანის სხეულს როგორც ცოცხალ სისტემას — სწავლება მოიცავს მის განვითარებას, სტრუქტურასა და ფუნქციებს ყველა დონეზე (მოლეკულური დონიდან მთელი სხეულის დონემდე), ასევე ჯანმრთელობასა და დაავადებაზე მოქმედ ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს.

პროგრამა დაყოფილია ექვს ძირითად სასწავლო მიმართულებად, რომელთაგან თითოეული ფოკუსირებულია სხეულის კონკრეტულ სისტემებსა და ჯანმრთელობის დარგებზე:

1. სიცოცხლის სტრუქტურა -ფოკუსირებულია კუნთოვან-ძვლოვან სისტემაზე და მოიცავს ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიისა და დაზიანებებისა და რბილი ქსოვილების მდგომარეობის კლინიკური მართვის შესწავლას.
2. სიცოცხლის კონტროლი - შეისწავლის ნერვულ სისტემას, ფსიქიატრიას და გრძნობის ორგანოებს. ის უზრუნველყოფს საფუძვლიან და კლინიკურ ცოდნას ნევროლოგიაში, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ყელ-ყურის/თვალის დაავადებებში.
3. სიცოცხლის ციკლი – მოიცავს გენეტიკას, რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, პედიატრიას, ნეონატოლოგიასა და გერონტოლოგიას. ის სწავლობს ჯანმრთელობასა და დაავადებებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე: დაბადება, ბავშვობა, ზრდასრულობა და სიბერე.“
4. სიცოცხლის შენარჩუნება – ფოკუსირებულია შარდმდენ, მომნელებელ და ენდოკრინულ სისტემებზე, სწავლობს როგორ ფუნქციონირებენ ეს სისტემები და როგორ ხდება მათთან დაკავშირებული დაავადებების მედიკამენტური და ქირურგიული მართვა
5. სიცოცხლის დაცვა – განიხილავს სხეულის თავდაცვით სისტემებს, მათ შორის იმუნოლოგიას, ჰემატოლოგიას, ონკოლოგიას, ინფექციურ დაავადებებს, დერმატოლოგიასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს.
6. სიცოცხლის მხარდაჭერა – იკვლევს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის ჯანმრთელობას, აერთიანებს ძირითად და კლინიკურ მეცნიერებებს გულისა და ფილტვების მდგომარეობების გასაგებად და მართვისთვის.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის გამოყოფილია (10 ECTS), და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის გავრცელებულ და გამოჩენილ გამოწვევებს, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო და ინფექციები. არჩევითი კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეისწავლონ დამატებითი თემები ან სპეციალიზდნენ მათთვის საინტერესო სფეროებში, ხშირად ფოკუსირდებიან სხვადასხვა ქვეყანაში ყველაზე გავრცელებულ დაავადებებზე.

კურიკულუმის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა მეთოდით: ლექციები, სემინარები, კლინიკური პრაქტიკა, შემთხვევების ანალიზი, სიმულაციები და პაციენტებთან თუ

პროფესიონალებთან კომუნიკაცია. სტუდენტების აკადემიური წარმატება შეფასდება წერილობითი და ზეპირი გამოცდებით, კლინიკური შემთხვევების განხილვით, OSCE-ებით, პირდაპირი დაკვირვებით, ჟურნალებითა და პორტფოლიოებით.

პროგრამის კომპეტენციები განსაზღვრულია, და პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- აქვს მყარი ცოდნა ბიომედიცინურ, კლინიკურ და სოციალურ მეცნიერებებში.
- შეუძლია პაციენტების ეფექტური კონსულტაცია.
- ფლობს სამეცნიერო, ანალიტიკურ და კვლევით უნარებს.
- აქვს პაციენტებთან, მათ ოჯახებთან და კოლეგებთან მკაფიო და ეთიკური კომუნიკაციის უნარი.
- გააზრებული აქვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელობა და მისი როლი დაავადებების პრევენციაში
- შეუძლია კლინიკური შემთხვევების შეფასება, დიაგნოსტიკური ტესტების დანიშვნა, დიფერენციალური დიაგნოზის ჩატარება და დაავადების მართვის გეგმის განხილვა.
- ახორციელებს როგორც პირველად, ისე მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებას
- ნიშნავს მედიკამენტებს
- ახორციელებს პრაქტიკულ პროცედურებს
- ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას სამედიცინო კონტექსტში
- იცასვ ეთიკისა და სამართლებრივ და პრინციპებს სამედიცინო პრაქტიკაში
- აფასებს მედიცინასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ და სოციალ ურ ასპექტებს
- იყენებს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ უნარებსა და ცოდნას
- იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამედიცინო კონტექსტში
- იყენებს ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპებს სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში
- მონაწილეობს ჯანდაცვის პოპულარიზაციის ხელშემწყობ აქტივობებში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავისი პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. კატალოგის განახლება ხდება შესაბამის პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. იგი ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შეესაბამება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა სათანადო მომზადებას როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური ჯანდაცვის პრაქტიკისთვის. სამედიცინო პროგრამის სტუდენტების სწავლებაში გამოიყენება სხვადასხვა სწავლების მეთოდი, მათ შორის ლექციები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL). წინა ანგარიშში მოცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, და PBL და CBL სესიებში გამოყენებული ინტეგრირებული შემთხვევები გაუმჯობესდა და ახლა შესაბამისად ხორციელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- ერთ-საფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გაუქმებისა და შესწორების წესი
- ახალი სტრატეგიული გეგმა.

- სილაბუსები & კურიკულუმი
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები
- ადგილზე ვიზიტი;

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

- სასურველია სტუდენტებისთვის პროგრამების ფარგლებში მეტი არჩევითი საგანი გახდეს ხელმისაწვდომი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტი იყენებს სტრუქტურირებულ მეთოდს იმის შესაფასებლად, აღწევენ თუ არა სტუდენტები თავიანთი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს. ეს პროცესი მიჰყვება საუნივერსიტეტო მეთოდოლოგიას, რომელიც განსაზღვრავს როგორ და როდის ფასდება შედეგები, ვის მიერ და რა სახის დავალებებით ან შეფასებებით.

ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამისთვის, პროგრამის დონის შედეგების სრული შეფასება დაგეგმილია მხოლოდ სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შემდეგ. ამ დროს გამოიყენება პირდაპირი მეთოდები - როგორიცაა დავალებები რთული კურსებიდან - იმის შესაფასებლად, თუ სტუდენტების მიერ რამდენად კარგად იქნა მიღწეული მოსალოდნელი შედეგები. ყოველ სწავლის შედეგს აქვს წარმატების გასაზომად კონკრეტული მახასიათებელი და იგი თანმიმდევრულად ვითარდება სამი ეტაპის გავლით: შესავალი, გაღრმავება და დაუფლება.

არაპირდაპირი მეთოდები, როგორიცაა სტუდენტების თვითშეფასება, დამსაქმებლების უკუკავშირი, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და სპეციალურად შექმნილი კითხვარები, ასევე გამოიყენება იმის გასაგებად, თუ რამდენად კარგად მიიღწევა შედეგები.

შეფასების პროცესი არის გუნდური ძალისხმევა, რომელშიც მონაწილეობენ ფაკულტეტის წევრები, მოწვეული პერსონალი და ადმინისტრაციული პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს ამ პროცესს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს ანგარიშს. მიღებული შედეგების საფუძველზე, პროგრამის განმავითარებელმა გუნდმა შეიძლება გადახედოს კურსის შინაარსს, წინაპირობებს ან კურსების მიმდევრობას საჭიროებისამებრ.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სრული შეფასება ჯერ კიდევ განსახილველია, უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფასებს ინდივიდუალური კურსების შედეგებს. ეს შედეგები შედარებულია სტანდარტული შეფასების განაწილებასთან. თუ ნებისმიერი კურსის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება - 20%- ზე მეტით გადახრა მოსალოდნელისგან, კურსი და მისი კომპონენტები (როგორიცაა სწავლების მეთოდები ან შეფასების ინსტრუმენტები) ხელახლა გადაიხედაბა და კორექტირდება.

კონკრეტულად სამედიცინო პროგრამისთვის, ასეთი შეფასებები კურსის მასშტაბით ჩატარდა პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე. ზოგიერთ კურსში გამოვლინდა გადახრები მოსალოდნელი შეფასებისგან, ამიტომ შემუშავდა რეკომენდაციები და დაიგეგმა ღონისძიებები ამ საკითხების გადასაჭრელად.

განსაზღვრული სასწავლო შედეგების შეფასების მიზნით სკოლა იყენებს პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებებს. პირდაპირი მეთოდები მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს წლის განმავლობაში ტენდენციებისა და მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურობის ყოვლისმომცველ გაგებას. სწავლის შედეგები ასევე დაყოფილია გაზომვად ინდიკატორებად, რაც საშუალებას იძლევა იმ კონკრეტული სფეროების უფრო ღრმა შეფასებისათვის, სადაც სტუდენტებს დახმარება სჭირდებათ. არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარების შეფასების მიზნით, რაც ღირებულ უკუკავშირს უზრუნველყოფს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად ამზადებს პროგრამა სტუდენტებს პროფესიული პრაქტიკისთვის. გამოიყენება კომპეტენციის შეფასების სხვადასხვა მეთოდები, როგორიცაა OSCE.

გარე შეფასების გუნდმა დაათვალიერა OSCE სადგურები. OSCE გამოცდისთვის ხელმისაწვდომი იყო ჭკვიანი მანეკენები. მანეკენების რაოდენობა და OSCE სადგურების რაოდენობა საკმარისი იყო.

არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტებს აქვთ გასაჩივრების უფლება. გასაუბრებების დროს, სტუდენტებმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს შეეძლოთ გადაწყვეტილებების გასაჩივრება. გამოკითხულთა მიერ გაზიარებული ინფორმაციის მიხედვით, ეს აპელაციები დროულად და შესაბამისად განიხილება. არ გამოვლინდა იმის ნიშნები, რომ დადგენილი პროცესი უგულებელყოფილი ან იგნორირებული იყო.

სტუდენტებს აქვთ წვდომა კურსის სილაბუსებზე, რომლებიც ნათლად აღწერს შეფასების მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს. ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტებმა, რომლებსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, დაადასტურეს, რომ ისინი იღებდნენ უკუკავშირს შეფასების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები დეკანებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
- დიპლომი ერთ- საფეხურიან სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამაში
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, გაუქმებისა და შესწორების წესი
- ახალი სტრატეგიული გეგმა
- სილაბუსები და კურიკულუმი
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები
- ადგილზე ვიზიტი;

რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს შეფასების სრულყოფილი სისტემა, რომელიც თითოეულ კომპეტენციას შესაბამისი შეფასების მეთოდით შეაფასებს. ●
რჩევები: -
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/ სამეცნიერო/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტი ავლენს პროაქტიულ და თანმიმდევრულ მიდგომას პერსონალის მენეჯმენტის მიმართ, რომელიც ხასიათდება გამჭვირვალობით, სამართლიანობით და აკადემიური სრულყოფილებისა და ინსტიტუციური განვითარებისადმი აშკარა სწრაფვით. დასაქმების პროცედურები კარგად არის რეგულირებული და დამსახურებაზეა ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის პროცესების შესაბამისობას სამართლებრივ მოთხოვნებთან და შიდა პოლიტიკასთან. საჯარო განცხადებები, სტრუქტურირებული შეფასებები და აკადემიური პოზიციებისთვის ღია კონკურსი ხელს უწყობს კომპეტენტური და მოტივირებული აკადემიური საზოგადოების ჩამოყალიბებას. უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარე არის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაფართოება, რაც ასახავს ინსტიტუციურ ზრდას, მზარდ მოთხოვნას და დასაქმების წარმატებულ სტრატეგიებს. მაღალმოტივირებული პერსონალის არსებობა - რომელთაგან ბევრი ავლენს მისიის ცოდნას და ენთუზიაზმს - განსაკუთრებით დასაფასებელია. ერთგულ პროფესიონალთა ეს ბირთვი გადამწყვეტია უწყვეტობის შენარჩუნებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფისთვის და უნივერსიტეტის გრძელვადიანი მიზნების წინსვლისთვის. აკადემიური და

მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 145; ადმინისტრაციული პერსონალისა - 26. ავტორიზაციის პერიოდში, პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი იყო 87% აკადემიური პერსონალისთვის, 68% მოწვეული პერსონალისთვის და 67% ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის.

პროფესიული განვითარების ინფრასტრუქტურა კარგად არის ჩამოყალიბებული. უწყვეტი განათლების ოფისი ეფექტურად ფუნქციონირებს, სთავაზობს რა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს. მისი სტრუქტურირებული მიდგომა მხარს უჭერს უნარების უწყვეტ გაუმჯობესებას და შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს. უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს თავის პერსონალს რეგულარული ტრენინგების მეშვეობით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიები (როგორიცაა TBL და CBL), მონაცემთა დაცვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, და ინსტიტუციური მმართველობა. უნივერისტეტი მხარს უჭერს პერსონალის მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ ღონისძიებებში, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს მის ინვესტიციას აკადემიური შესაძლებლობების განვითარებაში და გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობის შენარჩუნებაში. 2024 წელს სულ ექვსმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაასრულა მეთოდოლოგიური ტრენინგი გუნდზე დაფუძნებულ სწავლებაში (TBL) და შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებაში (CBL) და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატები. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმა გაიარა ტრენინგი პირადი მონაცემების დაცვაზე, ხოლო HSE ჯგუფმა ჩაატარა სესიები უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებზე - ყველა სესია ადგილობრივად აღმოსავლეთ- დასავლეთის უნივერსიტეტში ჩატარდა. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დაესწრო მიმდინარე ტრენინგებს, რომლებიც ფოკუსირებულია თანამედროვე სწავლების მეთოდებზე და შეფასების პრაქტიკაზე.

პერსონალი სარგებლობს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ინიციატივებით, მათ შორის სარეაბილიტაციო და ესთეტიკურ სერვისებზე ფასდაკლებებით, რაც დადებითად აისახება პერსონალის საერთო კმაყოფილებასა და კეთილდღეობაზე. პერსონალის საქმიანობის დაფასება - როგორიცაა ბონუსების გაცემა ქალთა საერთაშორისო დღეს - მიუთითებს დადებით ინსტიტუციურ კულტურაზე და პერსონალის ჩართულობისა და მრავალფეროვნების დაფასებაზე.

აკადემიური პერსონალის აფილირებას ხელს უწყობს ნათელი მექანიზმები, რომლებიც მოიცავს კვლევის დაფინანსებას, პუბლიკაციების ფინანსურ მხარდაჭერას და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას. აფილირებული პერსონალი არა მხოლოდ მონაწილეობს კვლევაში, არამედ ასევე ჩართულია მმართველობის სტრუქტურებში, მათ შორის აკადემიურ საბჭოსა და სამედიცინო სკოლის საბჭოში. ეს როლები საშუალებას აძლევს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ჩამოაყალიბონ საგანმანათლებლო და კვლევითი მიმართულებები, და ამავდროულად გააძლიერონ ინსტიტუციური მიკუთვნება და თანამშრომლობა.

მიუხედავად ამისა, აფილირებული პერსონალის ამჟამინდელი რაოდენობა მაინც მცირეა. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა გააუმჯობესებს უნივერსიტეტის კვლევით შედეგებს, პედაგოგური პერსონალის უწყვეტობას და საერთაშორისო ხილვადობას. სასურველია აფილირების კრიტერიუმების კიდევ უფრო განვითარება მეტი პროფესიონალის მოსაზიდად, განსაკუთრებით საერთაშორისო აკადემიური საზოგადოებიდან. მონაწილეობა ისეთ საერთაშორისო ალიანსებში, როგორიცაა Cintana Alliance, წინ გადადგმული ნაბიჯია ინტერნაციონალიზაციის ზრდისა და სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებისკენ.

როგორც 2.2 ნაწილში არის აღწერილი, უნივერსიტეტმა პერსონალის ყველა კატეგორიისთვის შეიმუშავა საქმიანობის შეფასების კარგად სტრუქტურირებული სისტემა. თვითშეფასებისა და ხელმძღვანელის უკუკავშირის ჩართვა უზრუნველყოფს ინდივიდუალური საქმიანობის

ყოვლისმომცველ ხედვას.
თუმცა, სისტემის ეფექტურობისთვის, იგი თანმიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს და ეფექტურად ეცნობებოდეს პერსონალის ყველა წევრს. ამ პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს უფრო ყოვლისმომცველი თვისებრივი შეფასებებისა და ურთერთშეფასების ინსტრუმენტების ინტეგრირება, რაც უკეთ აღბეჭდავს უფრო ფართო მიღწევებს - განსაკუთრებით კვლევის, მენტორობისა და ინსტიტუციური მომსახურების სფეროებში.

შესაძლებლობების კიდევ ერთი სფერო საერთაშორისო მობილობისა და პროფესიული განვითარების მეშვეობით მიღებული ცოდნის სისტემატურ გაზიარებაშია. სტრუქტურირებული პლატფორმების შექმნა - როგორიცაა შიდა სემინარები, მენტორობის ქსელები, ან კოლაბორაციული ვორქშოპები - გაზრდის პერსონალის მიერ უცხოეთში მიღებული გამოცდილების ინსტიტუციურ სარგებელს და ხელს შეუწყობს შიდა შესაძლებლობების განვითარებას. აღმოსავლეთ- დასავლეთის უნივერსიტეტის წევრები მონაწილეობდნენ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში. აღნიშნული მოიცავს დელეგაციის ვიზიტს ტაშკენტში 2025 წელს, პერსონალის სასწავლო ვიზიტს ციურიხში 2024 წელს, და პროფესორ ს.გ.- ს ერთთვიან სტიპენდიას სეულში, სამხრეთ კორეაში, რომელიც მოიცავდა ქირურგიულ ტრენინგს სეულის ეროვნული უნივერსიტეტის საავადმყოფოში და მონაწილეობას კორეის ქირურგთა საზოგადოების 76- ე კონგრესში. ეს აქტივობები ასახავს უნივერსიტეტის აქტიურ ჩართულობას ინტერნაციონალიზაციაში და მის ერთგულებას პერსონალის პროფესიული განვითარებისადმი.

საერთო ჯამში, ადამიანური რესურსების მართვაში უნივერსიტეტი მაღალ ინსტიტუციურ დონეს ავლენს. კვალიფიციური პროფესიონალების სტრატეგიული რეკრუტირება, მათ განვითარებასა და კეთილდღეობაში მდგრადი ინვესტიცია, და ინკლუზიური მმართველობის სტრუქტურები, რომლებიც აერთიანებს პერსონალს მრავალ დონეზე, ყველაფერი ეს მიუთითებს მხარდამჭერ და მომავალზე ორიენტირებულ აკადემიურ გარემოზე. აფილირების უწყვეტი გაფართოება, შეფასების მექანიზმების დახვეწა და საერთაშორისო გამოცდილების შიდა გავრცელება კიდევ უფრო გააძლიერებს უნივერსიტეტის აკადემიურ მისიას და ხელს შეუწყობს მის ზრდას, როგორც კონკურენტუნარიან და ინოვაციურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალისა და ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის ამჟამინდელი თანაფარდობა; აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობა; ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობა წარმოდგენილია როგორც:

- აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალისა და ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის თანაფარდობა: 45 აკადემიური პერსონალი / 26 ადმინისტრაციული პერსონალი
- აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა: 45 აკადემიური პერსონალი / 292 აქტიური სტუდენტი
- ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა: 26 ადმინისტრაციული პერსონალი / 292 აქტიური სტუდენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა (2025-2032)
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, აკადემიური პოტენციალის გაძლიერებისა და საერთაშორისო ხილვადობის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტმა გააფართოვოს აფილირებული

აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ამისათვის აუცილებელი აფილირების კრიტერიუმების დახვეწა, რათა მოიზიდოს მაღალი დონის პროფესიონალები.

- რეკომენდებულია, კიდევ უფრო განვითარდეს აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა და უზრუნველყოთ მისი თანმიმდევრული განხორციელება არსებული რეგულაციების საფუძველზე. ეს შეიძლება ეტაპობრივად განხორციელდეს, თუ სწავლების, კვლევისა და მომსახურების სფეროში ინტეგრირდება ხარისხობრივი მაჩვენებლები, კოლეგიალური უკუკავშირი და გაზომვადი შედეგები, რაც ხელს შეუწყობს უფრო ყოვლისმომცველი და განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების პროცესის ჩამოყალიბებას.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის უნივერსიტეტმა დანერგა სამუშაო დატვირთვის განაწილების თანმიმდევრული და კარგად რეგულირებული სისტემა, თავისი პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. ეს სისტემა ეფექტურად უჭერს მხარს დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს სწავლების, კვლევისა და აკადემიური მომსახურების სფეროში პასუხისმგებლობების დაბალანსებული განაწილების უზრუნველყოფით. სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა ასახავს საუკეთესო პრაქტიკას სამართლიანი განაწილების ხელშეწყობით, და ამავდროულად ზრუნავს აკადემიურ პროდუქტიულობასა და პროფესიულ კმაყოფილებაზე.

სამუშაო დატვირთვის კომპონენტების მკაფიო დიფერენციაცია – სწავლება (40– 60%), კვლევა (30– 50%) და სერვისი (10– 20%) – უზრუნველყოფსაკადემიური პერსონალის ჩართულობას აკადემიური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროში. მოწვეული პერსონალის ჩართვა სასწავლო დატვირთვის 20%- მდე იძლევა მოქნილობის შესაძლებლობას და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას, რაც განსაკუთრებით ღირებულია კლინიკურად დატვირთულ პროგრამებში. სამუშაო დატვირთვის სქემის სემესტრული განახლებები, რომლებიც ითვალისწინებს პერსონალის ვალდებულებებს სხვა დაწესებულებებში, მოწმობს ეფექტურ დაგეგმვას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალურ მიწოდებას.

სამედიცინო პროგრამა კარგად არის დაკომპლექტებული და აკმაყოფილებს აკადემიურ და კლინიკურ მოთხოვნებს. პროგრამას მხარს უჭერს 37 კვალიფიციური აკადემიური პერსონალი (მათ შორის 8 პროფესორი და 20 ასოცირებული პროფესორი), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და ხარისხს. 22 აკადემიური პერსონალი არის აფილირებული. თვითშეფასების ანგარიშში

ოფიციალურად ჩამოთვლილია აფილირებული პერსონალის სულ 15 აკადემიური წევრი; თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ეს რიცხვი 17- მდე გაიზარდა. პერსონალისა და სტუდენტების ამჟამინდელი თანაფარდობა 1:15 (აკადემიური აფილირებული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა 1:19) შეესაბამება კლინიკური განათლების საერთაშორისო მოლოდინებს და ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მენტორობას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობას სამედიცინო პროგრამისთვის როგორც 1:5– 15, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ფაქტობრივი თანაფარდობა ამჟამად შეადგენს 1:7.75- ს, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი, რომელიც ასევე ხაზს უსვამს ინსტიტუციური მიკუთვნების მნიშვნელობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გამოაცხადა აფილიაციის მიმდინარე კონკურსი, რომლის მიზანია მიმდინარე ვადაში აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის 20- მდე გაზრდა, ინსტიტუციური მოთხოვნებისა და სტრატეგიული განვითარების მიზნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ადგილზე ვიზიტის დროისთვის აფილირებული პერსონალის რაოდენობა უკვე გაიზარდა 17- მდე. HR და საქმისწარმოების ოფისის პოლიტიკა ხელს უწყობს ამ თანაფარდობების მონიტორინგს შესაბამისობისა და მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტის პერიოდში უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა კონკურსის წესით, რაც ასახავს მის სწრაფვას ინსტიტუციური განვითარებისა და აკადემიური სრულყოფილების მიმართ. უნივერსიტეტის საკუთარი სასწავლო კლინიკის არსებობა ასევე მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომელიც დადებითად მოქმედებს პროგრამის კლინიკურ კომპონენტებში ჩართული პერსონალის გაფართოებაზე და მხარს უჭერს პრაქტიკულ, მაღალხარისხოვან სამედიცინო განათლებას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია შეესაბამება ეროვნულ რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. იგი ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, სტუდენტთა ჩარიცხვას და აკადემიურ პასუხისმგებლობებს, რაც იწვევს პერსონალით დაკომპლექტების კარგად დაბალანსებულ და მდგრად მოდელს. დაწესებულება ასევე ავლენს გამჭვირვალობას და მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას ისეთი ძირითადი ინდიკატორების მუდმივი მონიტორინგის მეშვეობით, როგორიცაა პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა და აფილირების დონე.

აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტი მკაფიო ნიშნულებს უწესებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სწავლება, კვლევა, სტუდენტთა ხელმძღვანელობა და პროფესიული განვითარება, როგორც ეს მისი პერსონალის მართვის პოლიტიკაშია ჩამოყალიბებული. შესრულება ფასდება სტანდარტიზებული რეიტინგის სისტემის გამოყენებით, ხოლო შედეგები განსაზღვრავს პერსონალის განვითარებისა და გაუმჯობესების გეგმებს. უნივერსიტეტი მუდმივად განიხილავს და აუმჯობესებს ამ ნიშნულებს HR და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობთ, რაც სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობასა და ინსტიტუციურ ეფექტურობას უზრუნველყოფს.

ხარისხის მართვის სისტემა ყოველ სემესტრში ახლდება, და პერსონალის სამუშაო დატვირთვის შეფასება ამ სისტემის მეშვეობით ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას როგორც ინსტიტუციურ ნიშნულებთან, ისე ადგილობრივ კანონმდებლობასთან. ხარისხის მართვის სისტემის მიხედვით, უნივერსიტეტის პერსონალის უმრავლესობა ძირითადად დასაქმებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტში. აფილირებული პერსონალი ჯერ არ არის დასაქმებული სრული განაკვეთით. გასაუბრებებში გამოვლინდა, რომ მათი სრული ჩართულობა მოსალოდნელია სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემდეგ.

უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა რეგულირდება პერსონალის მართვის პოლიტიკით. აკადემიური მოვალეობების განაწილება სტატუსის მიხედვით (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი) ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ● სწავლება: სრული სამუშაო დატვირთვის 40-60%. ● კვლევა: სრული სამუშაო დატვირთვის 30-50%. ● მომსახურება: სრული სამუშაო დატვირთვის 10- 20%. გარდა ამისა, სასწავლო საათების სრული რაოდენობის 20%-მდე შეიძლება მიენიჭოს მოწვეულ პერსონალს. მთლიანობაში, უნივერსიტეტის მიდგომა აკადემიური სამუშაო დატვირთვის მართვისადმი არის ყოვლისმომცველი, ადაპტირებადი და შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს. იგი მხარს უჭერს პროგრამის ეფექტურ მიწოდებას, ხელს უწყობს აკადემიურ ჩართულობას და ავლენს დაწესებულების სწრაფვას მომავალი ზრდის მხარდაჭერისადმი თავისი სტრატეგიული მისიის შესაბამისად. აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტმა დააწესა ნიშნულები თავისი პერსონალისთვის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობისთვის და მუდმივად მუშაობს მათი გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● თვითშეფასების ანგარიში ● 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა (2025-2032) ● აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები ● პერსონალის მართვის პოლიტიკა; ● ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები ● უნივერსიტეტის ვებ= გვერდი
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე

უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, ასევე სტუდენტთა მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და წინასწარი სწავლების აღიარების რეგულირების წესები სრულიად გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ეს რეგულაციები საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისა და დაინტერესებული მხარისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ განათლების ყოველი საფეხურისთვის აღმოსავლეთ-დასავლეთის უნივერსიტეტმა შეიმუშავა სპეციფიკური რეგულაციები სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, ასევე მობილობის პროცედურების, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემისა და სასწავლო პროცესში მიღებული წინასწარი სწავლების აღიარების შესახებ. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტური სტატუსის მოპოვების ძირითადი პირობა არის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებებისა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩასარიცხად, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული ჩარჩოებისა და ვადების შესაბამისად, აბიტურიენტის ჩარიცხვის წინაპირობები მოითხოვს შემდეგი განსაზღვრული კრიტერიუმებიდან რომელიმეს დაკმაყოფილებას: ● უცხოელი მოქალაქე უნდა ფლობდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონის ცოდნას (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore და ა.შ.); ● უცხოელი მოქალაქე აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც განათლება ინგლისურ ენაზე მიიღეს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში (მაგ., დიპლომი, სერტიფიკატი და ა.შ.), და ასევე საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც დაასრულეს სრული ზოგადი განათლება უცხოეთში ინგლისურ ენაზე, ან მასთამ გათანაბრებული განათლება, და რომლებიც სწავლობდნენ უცხოეთში სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში და შეუძლიათ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა (მაგ., დიპლომი, სერტიფიკატი და ა.შ.); ● ზემოაღნიშნული ცოდნის დონე უნდა დადასტურდეს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტის შედეგებით, რაც განსაზღვრავს უცხოელი მოქალაქეების ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციის დონეს (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხულის გააზრებასა და ანალიზს და საუბარს). გარდა ამისა, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას – პროცედურები ეფექტურად ხორციელდება. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, უნივერსიტეტი სრულად სცემს პატივს და იცავს სტუდენტების კანონიერ ინტერესებს. ეს საკითხები რეგულირდება შიდა ნორმატიული აქტებითა და

საკონტრაქტო ხელშეკრულებით, რომელიც პირდაპირ ფორმდება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის.

სტუდენტები იცნობენ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავიანთ უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს. ამ მექანიზმების მეშვეობით, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი უფლებები. უკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აკადემიური შედეგები ან შეიტანონ საჩივარი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ მათი უფლებები დაირღვა.

დაწესებულება სტუდენტებს აძლევს სამართლიან საშუალებას გამოიწვიონ აკადემიური გადაწყვეტილებები. სტუდენტებს ეძლევათ რეალური შესაძლებლობები გადახედონ თავიანთ ნამუშევარს და წარადგინონ თავიანთი მოსაზრება, რაც აჩვენებს, რომ დაწესებულებისთვის სამართლიანობა კომპორტზე უფრო მნიშვნელოვანია. დროის ჩარჩოს სტრუქტურა განსაკუთრებით კარგად არის გააზრებული. სტუდენტებს ორი დღე აქვთ იმისათვის, რომ გადაწყვიტონ გასაჩივრება, რაც მათ ფიქრის დროსა და საშუალებას აძლევს, თუმცა უსასრულოდ არა. შემდეგ, დაწესებულებას დადგენილი აქვს მკაფიო ვადები პასუხისთვის, რაც ხელს უშლის საკმაოდ გავრცელებულ პრობლემას, როდესაც საჩივრები ადმინისტრაციაში ყოვნდება. ყოველი ნაბიჯი ეყრდნობა წინას კონკრეტული დროითი ლიმიტებით, რაც პროცესს პროგნოზირებადს ხდის ყველა ჩართული მხარისთვის. მოთხოვნა, რომ სტუდენტებმა ნახონ საკუთარი ნაშრომი ნებისმიერი ფორმალური განხილვის დაწყებამდე, კარგად გააზრებულ მოთხოვნას წარმოადგენს. სტუდენტებს არ შეუძლიათ გასაჩივრების პროცესში მონაწილეობის მიღება, თუ მათ ზუსტად არ იციან რას ასაჩივრებენ. ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მსჯელობა ფაქტებზე იყოს დაფუძნებული და არა მოგონებებზე ან ვარაუდებზე იმის შესახებ, რაც მოხდა გამოცდის დროს. გასაჩივრების სისტემა მოიცავს რამდენიმე ადამიანს, რაც იმას უზრუნველყოფს, რომ მხოლოდ ერთი პირი არ აკონტროლებს შედეგებს. სააპელაციო კომისია შედგება უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთებულის წევრებისაგან, მათ შორის ფაკულტეტის, ადმინისტრაციის და იურიდიული პერსონალის წარმომადგენლებისგან.

გარდა ამისა, გასაჩივრების მექანიზმი მოიცავს აკადემიური გამოცდილების რამდენიმე სფეროს. სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ კურსის შინაარსის მიწოდება, შეფასების მეთოდები, პედაგიგის მუშაობა, რესურსების ხელმისაწვდომობა ან ადმინისტრაციული პროცედურები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ სწავლაზე. ეს საკითხები შეიძლება განსხვავებული იყოს: დავალების გაურკვეველი ინსტრუქციები, არაადეკვატური უკუკავშირი, პრობლემები სასწავლო ოთახებთან ან განრიგთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის აკადემიურ პროგრესს. ფაკულტეტის წევრები არიან სწავლასთან დაკავშირებული გამოწვევების ძირითადი საკონტაქტო პირები, რადგან მათ აქვთ უშუალო შეხება სასწავლო პროცესთან და ხშირად შეუძლიათ საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტა. როდესაც სტუდენტები ფაკულტეტს თავიანთი პრობლემებით მიმართავენ, ეს ქმნის კონსტრუქციული დიალოგის შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებამდე მიგვიყვანოს. ეს პირდაპირი საკომუნიკაციო არხი ხელს უწყობს აკადემიური საკითხების სწრაფ გადაჭრას, სასწავლო მიდგომების მოდიფიკაციას, სადაც საჭიროა, და იმ სისტემური საკითხების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება უფრო ფართო ინსტიტუციურ ყურადღებას მოითხოვდეს.

პროფესიული ქცევის დარღვევის შემთხვევებში, სტუდენტს უფლება აქვს შეიტანოს დასაბუთებული განცხადება ეთიკის კოდექსის და/ან სხვა შიდა რეგულაციების სავარაუდო დარღვევის შესახებ, რომლებიც არეგულირებს უნივერსიტეტის პერსონალისა და/ ან აკადემიური/მოწვეული

პერსონალის ქცევას. დისციპლინური დარღვევის შესახებ ინფორმაციის ან დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით იქმნება დისციპლინური კომისია. კომისიას მიეწოდება შემოტანილი განცხადება, საჩივარი, ინფორმაცია ან დოკუმენტაცია. დისციპლინური კომისია განიხილავს მიღებულ მასალებს და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების დაწყების ან არ დაწყების შესახებ. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების არ დაწყების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.

ფაკულტეტის წევრები არიან სწავლასთან დაკავშირებული გამოწვევების ძირითადი საკონტაქტო პირები, რადგან მათ აქვთ უშუალო შეხება სასწავლო პროცესთან და ხშირად შეუძლიათ საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტა. როდესაც სტუდენტები ფაკულტეტს თავიანთი პრობლემებით მიმართავენ, ეს ქმნის კონსტრუქციული დიალოგის შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებამდე მიგვიყვანოს. ეს პირდაპირი საკომუნიკაციო არხი ხელს უწყობს აკადემიური საკითხების სწრაფ გადაჭრას, სასწავლო მიდგომების მოდიფიკაციას, სადაც საჭიროა, და იმ სისტემური საკითხების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება უფრო ფართო ინსტიტუციურ ყურადღებას მოითხოვდეს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურ როლს თამაშობს ასეთი საკითხების კომუნიკაციაში, ინარჩუნებს რა მჭიდრო და მუდმივ კონტაქტს სტუდენტებთან. უნივერსიტეტში დამკვიდრებულია ინსტიტუციური კულტურა და მექანიზმი, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტების ინტერესებს და ითვალისწინებს მათ აზრებს საგანმანათლებლო პროცესისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შესახებ.

ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ეს ეფექტური კომუნიკაცია დასტურდება სტუდენტური გამოკითხვებით, სადაც უმრავლესობა გამოხატავს კმაყოფილებას უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული კომუნიკაციისა და კონსულტაციების მიმართ.

გასაუბრებების დროს გამოვლენილი დადებითი ასპექტი იყო ის, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიჰყვნენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელსაც უნივერსიტეტი სრულად უჭერს მხარს.

სტუდენტები ასევე რეგულარულად მონაწილეობენ გამოკითხვებში და იღებენ დროულ ინფორმაციას განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ამით მათ აქვთ ინფორმაცია მიმდინარე განვითარებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის რეგულირების წესები
- აღმოსავლეთ- დასავლეთის უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- აღმოსავლეთ- დასავლეთის უნივერსიტეტში საგამოცდო პროცესის ორგანიზების დებულება
- აღმოსავლეთ- დასავლეთის უნივერსიტეტის შიდა დებულება
- დიპლომების გაცემისა და გადაცემის წესები
- სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების ნიმუში
- თვითშეფასების ანგარიში;
- ეთიკის კოდექსი
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი

რეკომენდაციები:

-

რჩევები: –
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): –
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღმოსავლეთ- დასავლეთის უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტურ საკონსულტაციო სერვისებს, რომლებიც მხარს უჭერს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მუშაობის გაუმჯობესებაში. ამ მხრივ, სტუდენტთა კოორდინატორის ოფისი აქტიურ როლს ასრულებს, ორგანიზებას უწევს შეხვედრებს სტუდენტებს, ფაკულტეტის წევრებსა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს შორის. კოორდინატორი არის ის დამაკავშირებელი, რომელიც ხელს უწყობს კონსულტაციებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. დაწესებულება აქტიურად უჭერს მხარს სწავლებისა და სწავლის პროცესს და ძლიერ აქცენტს აკეთებს აკადემიურ დაგეგმვასა და სტუდენტური მუშაობის გაუმჯობესებაზე.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტებს ეხმარება უნივერსიტეტის გარემოში ადაპტაციაში და უზრუნველყოფს წვდომას ყველა საჭირო და შესაბამის ინფორმაციაზე. კონკრეტულად, სამედიცინო სკოლის ფარგლებში, სტუდენტთა კოორდინატორის ოფისი პასუხისმგებელია სტუდენტების აკადემიური საქმიანობის ორგანიზებასა და მართვაზე მათი აქტიური ჩართულობით.

უნივერსიტეტს ასევე აქვს კარიერული მხარდაჭერის ოფისი, რომელიც ატარებს პროფესიულ და საინფორმაციო ღონისძიებებს დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. გასაუბრების დროს, სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ოფისმა გაზარდოს მის მიერ ორგანიზებული მრავალფეროვანი საჯარო ლექციებისა და ღონისძიებების რაოდენობა.

